

როგორ უნდა დაარსდეს
და სწავრომოდეს

საქართველოს
საზოგადოებრივი
საბუნებისმეტყველო
საზოგადოება

ა. მ. კახელაძე.



როგორ უნდა დაარსდეს
და სწარმოებდეს

34768

სწრაფი პრაქტიკული უმცესი უწყვეტი



მ. კახელაძე.

როგორ უნდა დაერსდეს და სწავრობდეს წერილი კრედიტის დაწესებულება.

იაფი ხანის საჭიროება სოფლად

ყველასთვის ცხადია, რომ დღეს გლეხი მეტად ღარიბად სცხოვრობს, და, რაც დრო გადის, იმდენად უფრო აუტანელი ხდება მისი ცხოვრება. მუდმივი შიმშილი და გაჭირვება განუშორებელია გლეხი კაცის ცხოვრებისაგან. ამისი მიზეზი, სხვათა შორის, მიწის მამაპაპურის წესით დამუშავებაა. მიწა დღეს მთლად გამოიფიტა და აღარ იძლევა ისეთ უხვს მოსავალს, როგორც წინად. ამიტომ საჭიროა მიწის გაუმჯობესებელი წესით დამუშავება და საზოგადოდ სასოფლო მეურნეობაში ძირითადი ცვლილების შეტანა. მაგრამ ამას გლეხი ვერ შესძლებს, ვიდრე სწავლასთან ერთად არ იშოვის ფულს, ვიდრე სოფლად არ გაჩნდება ისეთი დაწესებულება, რომელიც მისცემს გლეხს შეღავათიანი სარგებლით სესხს.

რა გინდ სასარგებლო იყოს ესა, თუ ის სასოფლო-სამეურნეო იარაღი და შეგნებულიც ჰქონდეს გლეხს მისი სარგებლობა, მაინც ხელს არ მოჰკიდებს, რადგანაც მის შესაძენად საჭირო ფულს ვერ იშოვის. ფულის საჭიროება აიძულებს გლეხს გაჰყი-

დოს თავისი ნაშრომი მაშინ, როცა მას კარგი ფასი არა აქვს. სოფლად სესხის უქონლობით აიხსნება ის გარემოებაც, რომ დღეს სოფელს გაურბიან სასოფლო მეურნეობის მცოდნე გლეხის შვილები და მეურნეობას ამჯობინებენ რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებაში გადამწერად ყოფნას.

სესხის უქონლობაზე რომ ვიძახი, აქედან იმის დასკვნა კი არ შეიძლება გამოვიყვანოთ, ვითომ სოფლად არ იშოვებოდეს ფული სასესხებლად. ასეთი დასკვნა მეტად შემცდარი იქნება, რადგან, საუბედუროდ, ისეთი სოფელი არ არის, სადაც ფულს არ ასესხებდეს ან ადგილობრივი ვაჭარი, ან ვინმე ქვრივი ან და რომელიმე შეძლებული ოჯახის რძალი არ ასარგებლებდეს თავის სათავენოს.*) მაგრამ ამ მოვახშეებისაგან ძნელად სესხულობს გლეხი ფულს, რადგანაც იცის, რომ მათ ვალს თავის დღეში ვეღარ ამოუვა. სოფლად 200—300% გადახდევინება ჩვეულებრივი მოვლენაა. ზოგჯერ სარგებელი ამაზე მეტიც არის. ამ სტრიქონების დამწერი არა ერთხელ ყოფილა მოწმე ასეთი სარგებლის გადახდევინებისა და აბა გლეხმა ისეთ რა საქმეს უნდა მოახმაროს სესხი, რომ ამოდენა სარგებელი იხადოს და თავის-თავიც არჩინოს. ცხადია გლეხი თავის დღეში არ ისესხებს მოვახშისაგან ფულს მეურნეობის გაუმჯობესობისათვის. მოვახშეებს გლე-

*) „სათავენო“ ჰქვიან იმ ფულს, რომელსაც მოიყოლიებს რძალი ქმრის ოჯახში.

ხი მაშინ მიმართავს ხოლმე, როცა მას მეტი გზა არა აქვს, მაგალითად, როდესაც ან მკვდარი ჰყავს დასამარხი ან ქორწილს მართავს, ან ავადმყოფი ჰყავს, ან პური გამოელია და ან სხვა რაიმე ამ გვარი გაჭირვება აღგია კარზე. ასეთ გაჭირვების დროს გლეხი ვეღარ აუქცევს მხარს მოვახშეს, მაგრამ ვაი იმის ბრალი, რომელიც ჩაუვარდება მოვახშეს ხელში. სარგებლობს რა გლეხის გაჭირვებით, მოვახშე ისეთ სარგებელს ართმევს, რომ თავის დღეში ვეღარ ამოვა გლეხი მის ვალიდან. გაჭირვებაში მყოფი გლეხი ფულის აღების დროს არ შედის იმის გარჩევაში სარგებელი ბევრია, თუ ცოტა, იგი თანხმდება მოვახშეს სარგებელზე, მაგრამ შემდეგ კი მძიმე ტვირთად აწვება და სარგებლის გასტუმრებას ძლივს ასდის, თავნის გადახდა ხომ ძილშიაც არ მოესიზმრება. ყოველ შემოდგომაზე მოვახშეს მიაქვს სარგებელში მომეტებული წილი გლეხის მოსავლისა, თავნი კი გადაუხდელი რჩება. თავნს არც თუ მოვახშე სთხოვს. ან კა გიყი იქნება გამოართვას როდესაც დარწმუნებულია, რომ ფული მას არ დაეკარგება და ამასთანავე როგორ საქმეზედაც გინდა დააბანდოს ფული, მაინც იმდენ ხეირს ვერ ნახავს, რამდენსაც ახდევინებს გლეხს. ამ რიგად გლეხი წვალობს, წელებზე ფეხს იდგავს და მისი ნაშრომი კი მოვახშეს მიაქვს.

შემჩნეულია, რომ რაც უფრო ღარიბია გლეხი, იმდენად მეტი გაჭირვებაც აქვს და, მაშასადამე, სარგებელსაც მუდამ უფრო მეტს იხდის.

როგორ უნდა დავახშიროთ თავი მოვახშევს?

ხსნა მხოლოდ ერთობა - ამხანაგოშია. როგორც ყველა საზოგადო საქმეში, ამაშიაც ერთი კაცი უღონოა, მას ბევრის გაკეთება არ შეუძლიან, მაგრამ რასაც ერთი კაცი ვერ შესძლებს, მას ადვილად მოაწყობს რამდენიმე კაცი ერთად შეერთებული ძალით. ამას გარდა ერთს კაცს არავინ არ ენდობა ფულს, გარდა მოვახშისა, ამხანაგობას კი ყველანი ენდობიან.

ეს დიდი ხანია შეიგნეს განათლებულ ქვეყნების გლეხებმა, შეადგინეს ამხანაგობები და მრავლად დაარსეს სასოფლო ბანკები, საიდანაც გაჭირვების დროს მცირე სარგებლით იმართავენ ხელს ფულით. იქ თითქმის ისეთი სოფელი არ არის, რომ მშვენივრად მოწყობილი სასოფლო ბანკი არ იყოს.

დასავლეთ სახელმწიფოების გლეხებს მიჰბაძეს რუსის სოფლებმაც და ბევრგან გახსნეს და დღესაც ხსნიან სასოფლო ბანკებს ანუ წვრილი კრედიტის ამხანაგობებს*), მაგრამ მათი რიცხვი ჯერჯერობით საზღვარ-გარეთის სასოფლო ბანკების რიცხვთან შედარებით ძალიან ნაკლებია. რუსეთში წვრილი

*) სიტყვა „კრედიტი“ ნიშნავს „ნდობას“. აქედან „წვრილი კრედიტის ამხანაგობა“, ანუ „წვრილი ნდობის ამხანაგობა“, ესე იგი ისეთი ამხანაგობა, რომელიც წვრილის, ცოტ-ცოტა ფულის გატანის ნდობას უცხადებს („კრედიტს უხსნის“) თავის წევრებს. სიტყვა „ნდობის“ მაჯიერ იხმარება ლათინური სიტყვა „კრედიტი“.

კრედიტის ამხანაგობები ნამეტნავად გავრცელდა 1904 წლის 7 ივლისის კანონის გამოცემის შემდეგ. როგორც 1907 წ. შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, მთელს რუსეთში ყოფილა 1396 ამხანაგობა, რომლებშიაც ითვლება 438,000 მონაწილე ანუ წევრი და რომლებსაც გაუციათ 16,000,000 მანეთის სესხი. სამწუხაროდ არ მოიბოვება უკანასკნელ წლების სტატისტიკური ცნობები. უეჭველია ამ წლებში ერთი-ორად გამრავლდებოდა წვრილი კრედიტის ამხანაგობების რიცხვი, რადგან ამ წლებში უფრო ძლიერი იყო ყველგან კულტურული მუშაობა.

ჩვენც, თუ გვინდა თავი დავახწიოთ მოვახშეებს, უნდა შევერთდეთ და დავაარსოთ სოფლად წვრილი კრედიტის ამხანაგობანი, საიდანაც გაჭირვების დროს გამოვიტანთ შეღავათიან სარგებლით ფულს, ხელს მოვინაცვლებთ, საქმეს წარვიმართავთ და გავიუმჯობესებთ ჩვენს ცხოვრებას. იაფი სესხი საშუალებას მოგვცემს შემოვილოთ უკეთესი იარაღების ხმარება და გაუმჯობესებული წესით მიწის დამუშავება, რომელიც ერთი-ორად გაანაყოფიერებს ჩვენს შრომას და ბეტს ქონებას შეგვძენს. ერთის სიტყვით ასეთი ამხანაგობა ხილად დაგვედება და დაგვაახლოვებს ადამიანურს ცხოვრებასთან.

წვრილი კრედიტის ამხანაგობანი

წვრილი კრედიტის ამხანაგობები არის ორგანიზაცია: **შემნახველ-გამსესხებელი და საკრედიტო.** რომ-

გორც პირველს, აგრედვე მეორე გვარი ამხანაგობის მიზანი ერთი და იგივეა, სახელდობრ: გაუმჯობესობა წევრთა ნივთიერი მდგომარეობისა. განსხვავება მათ შორის არის მხოლოდ ის, რომ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დასაარსებლად საჭიროა ყველა წევრმა შეიტანოს გადაწყვეტილი ფული, რომელსაც ჰქვიან **პაი**. პაი არ უნდა იყოს თუმანზე ნაკლები და ათ თუმანზე მეტი. საკრედიტო ამხანაგობის გასახსნელად ფულის შეტანა წევრების მიერ საჭირო არ არის. რადგანაც მომეტებული ნაწილი ჩვენი გლეხ-კაცობისა თითო თუმანის შეტანას ვერ შესძლებს, თუნდა წვრილ-წვრილადაც, ამიტომ საკრედიტო ამხანაგობა უფრო უკეთესია და უფრო შეეფერება ჩვენს სოფელს, ვიდრე შემნახველ-გამსესხებელი. ამას გარდა საკრედიტო ამხანაგობას ფულიან ხალხშიაც მეტი ნდობა აქვს, ვიდრე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას, რადგან პირველ ამხანაგობაში წევრები ზარალის დროს ხშირად პასუხს აგებენ მთელი თავისი ქონებით, ანუ პასუხისგება განსაზღვრული არ არის, მეორეში კი მომეტებულ წილად პასუხისმგებლობა განსაზღვრულია. საკრედიტო ამხანაგობას კიდევ ის უპირატესობაც აქვს, რომ იგი მოგებიდან აარსებს სხვადასხვა განსაკუთრებულ თანხებს, რომლებიც მთელს ამხანაგობას ჰხმარდება. შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა კი მოგების მომეტებულ ნაწილს უნაწილებს თავის წევრებს, რისგამოც შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში წევრები დაინტერესებულნი არიან, რაც შეიძ-

ლება მეტი მოგება ანუ **დივიდენდი** მიიღონ, ამიტომ სესხზე სარგებელს დიდს აწესებენ წელიწადში თუმანზე 14 შაურს, ოთხ აბაზს, 18 შაურს, ან მანეთს. თვით დივიდენდის გამოანგარიშება ყოველ წლივ და განაწილება წევრთა შორის მეტად ართულებს ანგარიშის წარმოებას და პირველადვე საჭიროდ ხდის გამოცდილ მოანგარიშეს დაქირავებას, რომელიც, რასაკვირველია, ჯამაგირსაც მეტს ითხოვს. ამიტომ საკრედიტო ამხანაგობა უკეთესია, ვიდრე შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთში სოფლად მომეტებული წილად საკრედიტო ამხანაგობებს ხსნიან.

საკრედიტო ამხანაგობის მიზანი

საკრედიტო ამხანაგობის მიზანია, გაუადვილოს თავის წევრებს სასოფლო-მეურნეობის წარმოება და გაუმჯობესობა. ამ მიზანს ამხანაგობა ახწევს სესხის მიცემით, შუამავლობის გაწევით და ფულის შენახვა-შეგროვებით.

ა) სესხი.

ამხანაგობა აძლევს სესხს მარტო თავის წევრებს შემდეგ საჭიროებისათვის: ცოცხალი საქონლის (ხარკამეჩის და სხ.) სასყიდლად, სამეურნეო იარაღების შესაძენად, ვენახ-ბოსტნის გასაშენებლად, საბძელკალოს, წისქვილის და ან სხვა ამ გვარ საქმის გასამართავად, სახლის ასაშენებლად, მინდვრის იჯარით ასაღებად და სხვა, ერთი სიტყვით ამხანაგობა ასეს-

ხებს ფულს ისეთ სამეურნეო-საოჯახო საქმისთვის, რომელიც მისცემს ფულის გამტანს საშუალებას, გააუმჯობესოს თავისი მეურნეობა, მეტი შემოსავალი მიიღოს, ამხანაგობის ვალიც გაისტუმროს და თითონაც მოგებაში დარჩეს. მხოლოდ ასეთ საქმისთვის არის აღებული სესხი სასარგებლო და მისი გადახდაც არ გაუძნელდება ფულის გამტანს. თუ ამხანაგს ცხოვრების სახსარი არა აქვს და ფულს იმიტომ სესხულობს, რომ თავის-თავზე დახარჯოს, მაშინ, ცხადია, მას სესხი ვერას შესძენს. ამას გარდა ასეთი სესხი საზარალოც იქნება, რადგან სესხს გადახდა უნდა და სარგებელიც უნდა იხადოს. ამიტომ სესხი არ უნდა გაიცეს სამარხად, ქორწილის და ნათლობის გასამართავად და სხვა. ასეთ საქმისთვის აღებული სესხი არაფერს არ შესძენს წევრს და ტყუილად წამოადებს კისერზე ვალს. ქელებ-ქორწილის გამართვის გარდა ჩვენ კიდევ ათასნაირი დამღუბველი ჩვეულებები გვაქვს, რომ ლებსაც მკვიდრად აქვთ გამდგარი ფესვი ჩვენს ცხოვრებაში და რომელთა შეუსრულებლობა დიდ სირცხვილად ითვლება. ამ გვარ შემთხვევაში ამხანაგობამ უნდა ურჩიოს წევრს, არ აპყვეს ჩვეულებას და მით ვალში არ ჩავარდეს ტყუილ-უბრალოთ.

ფულს ამხანაგობა ყველას ერთნაირად არ ენდობა, ზოგს მეტს კრედიტს უხსნის, ზოგს ნაკლებს. თუ წევრს ამხანაგობა იცნობს, როგორც შრომის მოყვარეს და სვინიდისიერ კაცს, თუნდა დიდი შეძლება არა ჰქონდეს მას ამხანაგობა მეტს კრედიტს

უხსნის; საშუალოთ მშრომელს უფრო ნაკლებს; ზარმაც ადამიანს ამხანაგობა სრულებითაც არ ენდობა და არც ამხანაგათ გაიხდის.

საკრედიტო ამხანაგობის სამაგალითო წესდებით სესხის რაოდენობა განსაზღვრულია 30 თუმნით, მაგრამ ამოდენა სესხის მიცემა კარგი არ არის, ნამეტნავად პირველად, რადგან მაშინ ბევრი ვერ ისარგებლებს ფულით. უკეთესია სესხი ათ თუმანზე მეტი არ იყოს, ე. ი. თვითეულ წევრს ათ თუმანზე მეტის გატანა არ შეეძლოს.

სესხს ამხანაგობა აძლევს სხვადასხვა ვადით, იმის და მიხედვით, თუ როგორი საქმისათვის სესხულობს ფულს. თუ ვინმე სესხულობს ფულს პურის სასყიდლად მარტში, სესხი მას მიეცემა მარიაშობის-თვემდე, ე. ი. ხუთი თვით, რადგანაც ამ ხნის განმავლობაში მსესხებელს შეუძლიან მოსავალი გაყიდოს და ამხანაგობას ფული დაუბრუნოს. ასეთ ხელდა-ხელ საჭიროებისათვის სესხი შეიძლება მიეცეს ერთ წლამდე. თუ ამხანაგი სესხულობს ფულს ხარკამეჩის ან რაიმე იარაღის სასყიდლად, სესხი შეიძლება მიეცეს სამის წლით. თუ ფული გააქვს ამხანაგს იმიტომ, რომ ან სახლი ააშენოს, ან ვენახი გააშენოს, ან წისკვილი გამართოს და ან სხვა ამ გვარ საქმეს მოახმაროს, სესხი შეიძლება მიეცეს ხუთი წლის ვადითაც. გრძელ ვადიან სესხის გადახდა წვრილ-წვრილად შეიძლება. ეს და მოკიდებულია წევრის სურვილზე.

ამხანაგობა სესხს აძლევს პირადის ნდობით, თავდებით და გირაოთი. მაგრამ, რადგანაც თავდე-

ზის შოვნა „უმალარიჩოდ“ ძნელია სოფლად, ნამეტ-
ნავად საწყალ კაცი სათვის, ამიტომ ამხანაგობამ
მსესხებელს თავდები და გირაო იშვიათად უნდა
მოსთხოვოს და მომეტებულ ნაწილად პირადის ნდო-
ბით უნდა აძლიოს სესხი.

სესხის გატანის დროს წევრმა უნდა სთქვას,
თუ რა საქმისთვის სესხულობს ფულს. ეს იმიტომაა
საჭირო, რომ ამხანაგობას შეეძლოს განსაჯოს: რო-
გორ საქმეზე აპირებს წევრი ფულის დახარჯვას:
სახეიროზე, თუ საზარალოზე. ამხანაგობამ უნდა
თვალყური ადევნოს, რომ წევრმა ფული მოახმა-
როს სწორედ იმ საქმეს, რომლისთვისაც ისესხა.
თუ ვინიციობაა ამხანაგმა მოატყუა და ფული სხვა
რაიმე საზარალო საქმეს მოახმარა, ამხანაგობას შეუ-
ძლიან გატანილი ფული გადაახდევინოს და ასეთი
მატყუარა ამხანაგი დასაჯოს.

ამხანაგობა ვასცემს ისეთ სესხსაც, რომლის
გატანის დროს ამხანაგი მოვალე არ არის სთქვას,
თუ რა საქმისთვის სესხულობს ფულს. ასეთი სესხი
არ უნდა აღემატებოდეს ერთ მეათედ ნაწილს უდიდეს
კრედიტისას, ე. ი. თუ უდიდესი კრედიტი 10 თუ-
მანია, შეიძლება ამ გვარ სესხის გატანა თუმნამდე.

სარგებლის დანიშვნა სესხზე

სესხში ამხანაგობა ახდევინებს სარგებელს, რო-
მელიც შეადგენს ამხანაგობის მოგებას. სარგებლის
რაოდენობა დამოკიდებულია თვით ამხანაგობაზე,
ესე იგი რამდენიც უნდა (12⁰/0-დე კი), იმდენს

გადასწყვეტავს სარგებელს შეუძლიან დაადგინოს სარგებელი 7,8,9 ან 10⁰/o. თუმცა ამხანაგობის მიზანია, რაც შეიძლება იაფად ასესხოს ფული თავის წევრებს, მაგრამ პირველად, როდესაც მას ჯერ საკუთარი თანხები არ ექნება და ნასესხებ თანხებში თვით ამხანაგობავე იხდის სარგებელს, იმდენი სარგებელი უნდა გადაახდევინოს წევრებს სესხში, რომ შესძლოს ყველა ხარჯების დაფარვა (სახლის წიგნების და სხვა წვრილანი ხარჯები), სახელმწიფო ბანკის ვალის გასტუმრება და საკუთარი თანხის შეგროვებაც. პირველად ამის გამო შეიძლება სესხში გადახდეთ 12⁰/o ანუ თუმანზე თვეში ორი შაური. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ამხანაგობა მოგებიდან შეაგროვებს საკუთარ თანხას, შეიძლება სარგებლის დაკლება 7 ან 8⁰/o-დ, მხოლოდ ამის შესახებ წვრილი კრედიტის საგუბერნიო კომიტეტს უნდა ეცნობოს.

როგორც ზევითაც ვსთქვი, სესხი გააქვთ წევრებს სხვადასხვა ვადით. თუ ვინცობა წევრმა ფული ვადაზე არ დააბრუნა, ამხანაგობას შეუძლიან ძალით გადაახდევინოს ფული. ამისთვის ამხანაგობამ უნდა ქალაქი მისწეროს მამასახლისს, რომელიც აუწერს წევრს ქონებას, შვიდი დღის განმავლობაში გაუყიდის და აღებულოს ფულს ამხანაგობას დაუბრუნებს. ასეთი ღონისძიება იხმარება, რასაკვირველია, იმ უსინდისო წევრის წინააღმდეგ, რომელიც შევა ამხანაგობაში წევრად, ფულს გაიტანს და უკან კი აღარ დააბრუნებს მხოლოდ მიი-

ტომ, რომ იგი უსინიდისოა და გაკვრა-გაგლეჯაზე უჭირავს თვალი. ხოლო თუ წევრმა რაიმე შესაწყნარებელი მიზეზის გამო (მაგალითოდ ან ოჯახში მოუკვდა ვინმე, ან საქონელი დაეხოცა, ან ცეცხლით დაზარალდა და სხ.) არ გადაიხადა ვალი, ამხანაგობას შეუძლიან აღროვოს კიდევ ექვსი თვით და ზოგჯერ ამაზე მეტი ხნითაც.

ბ) შუამავლობა.

უმთავრესი მიზანი ამხანაგობისა სესხის გაცემაა, მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს შუამავლობის გაწევასაც. თუ ამხანაგობა მარტო სესხს გასცემს და ამასთანავე დარიგებას, ან შუამავლობას არ გაუწევს წევრებს, ამხანაგობა ვერ დაიმსახურებს ხალხში სახელს და ვერც მოიზიდავს ახალს წევრებს. ამიტომ საჭიროა ამხანაგობამ მიჰყოს ხელი შუამავლობის გაწევასაც. წესდებით ამხანაგობას შეუძლიან შუამავლობა გაუწიოს როგორც ერთ წევრს, ისე რამდენიმეს ერთად. ამხანაგობა პირველად შუამავლობას ეწევა მხოლოდ წევრების ფულით, ე. ი. წევრებს მიაქვთ ფული და ამ ფულით ამხანაგობა ასრულებს ამა თუ იმ დავალებას. შემდეგში კი, როცა ამხანაგობა მოგებიდან შეიგროვებს საშუამავლო თანხას, მაშინ ამხანაგობა ფართოდ მოჰკიდებს ხელს შუამავლობას.

საკრედიტო ამხანაგობას ნება აქვს აწარმოვოს შემდეგი საშუამავლო საქმეები:

ა) იყიდოს თავის წევრთათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღები (მაგ. გუთნები, ნამგლები, ცელები და სხვა) და კარგი ჯიშის შინაური ცხოველები და ფრინველები. ასე ყიდვა იმითია სასარგებლო წევრთათვის, რომ უფრო იაფად ჯდება. რადგანაც ამხანაგობა ერთბაშად ბლომად ყიდულობს, ამიტომ მას შეუძლიან გამოიწეროს საქონელი პირდაპირ ქარხნიდან ან დიდი საწყობიდან, რომელნიც უფრო ნაკლებად დაუთმობენ, ვიდრე ადგილობრივი ხარჩი ვაჭრები.

ბ) იარაღების გარდა ამხანაგობას შეუძლიან იყიდოს თავის წევრთათვის თესლი, გაუმჯობესებული ჯიში ხეხილისა ან წამალი ვენახის შესაწამლად, მინერალური სასუქები ნიადაგის გასაპატივებლად და სხვა. შეუძლიან გამართოს კითხვა-საუბარი სასოფლო მეურნეობაზე, მოიწვიოს ინსტრუქტორი ამა თუ იმ სასოფლო მეურნეობის დარგის ახსნასწავლებისათვის და სხ.

გ) ამხანაგობას შეუძლიან დაეხმაროს წევრებს ნაწარმოების გაყიდვაშიაც. ეს უკანასკნელი მხარე შუამავლობისა მეტად სასარგებლოა. თუ ამხანაგობა ამ საქმეს მოაგვარებს, მით ბევრს შეჰმატებს თავის წევრებს. რადგანაც მაშინ მომეტებული ნაწილი წევრების ნაშრომ-ნაოფლარისა ისევ მათვე დარჩებათ და არა ხარჩს ვაჭრებს. დღეს ყველასთვის ცხადია, თუ როგორ ხალის ფასათ ჰყიდის გლეხი თავის ნაწარმოებს. ხშირად გლეხი თავის მოსავალს გაჭირვების გამო მაშინ ჰყიდის როცა ჯერ

არც კი დაუბინავენია. ქართლელი გლეხი თითქმის იანვარშივე ჰყიდის თბილისელ ბაყალზე თავის ხილს. კახელი გლეხი გაზაფხულზედვე იღებს სირაჯისაგან ღვინის ბეს, რომ წამალი იყიდოს ვენახის შესაწამლავად.

ამის გამო გლეხი მოვალეა თავისი ხილი ან ღვინო მიჰყიდოს უეჭველად ბეის მიმცემს, რომელიც ნათლიმამობით და სხვადასხვა ხრიკებით ჩაღის ფასად იგდებს ნაწარმოებს ხელში. ამავე მდგომარეობაშია მეცხვარეც. მასაც აქვს სხვადასხვა გაჭირვების წუთი ან საბალახე აქვს მისაცემი, ან ბინა აქვს გასაკეთებელი და სხვა. ამის გამო მეცხვარეც წინაღვე ჰყიდის თავის ცხვრის მატყლს მემატყლეზე და იღებს ბეს, რის გამოც იგი იძულებულია მისცეს მატყლი იმ ფასში, რომელსაც მემატყლე დაუნიშნავს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ჯერ ერთი მემატყლეს დავალებული ჰყავს გულკეთილი მეცხვარე ხელის გამართვით და მეორეც შემდეგში გაჭირვების დროს აღარ მისცემს ბეს წინაღვე და ხელს აღარ გაუმართავს. ამ რიგად დღეს გლეხი მთლად ჩარჩ-ვაჭრების ხელშია შებოჭილი. გლეხი ჩავარდნილია ჩარჩის ხელში. ჯერ ერთი იმიტომ, რომ საჭიროების დროს ვერ უშოვია იაფი სესხი და მეორეც იმიტომ, რომ არა აქვს ცოდნა-გამოცდილება. საკრედიტო ამხანაგობას შეუძლიან დაეხმაროს გლეხებს და სესგის მიცემით გაანთავისუფლოს ვაჭრების კლანკებისგან. ამხანაგობა მისცემს სესხს, რათა გლეხმა თავი გამოიკვებოს ახალ მო-

სავლამდე, იყიდოს წამალი ვენახის შესაწამლად და სხვა., თავის მოსავალს კი გაჰყიდის ბაზარზე იმ ფასად, რა ფასიც ექნება.

ამხანაგობა თავის წევრებს, როგორც ზევითაც ვსთქვი, ეხმარება ნაწარმოების გაყიდვაშიაც. შეუძლიანთ წევრებს მიიტანონ თავიანთი ნაწარმოები და დაავალონ ამხანაგობას მისი გაყიდვა. ეს ნამეტნავად ხელსაყრელია გლეხებისთვის, როცა ამა თუ იმ მეურნეობის დარგის ნაწარმოები ცოტა აქვს. ასეთ შემთხვევაში გლეხს საქონელი ბაზარში არ გამოაქვს, რადგანაც აღებული ფულით ხარჯსაც კი ვერ დაჰფარავს და დროს ტყუილად დაჰკარგავს. ამხანაგობის საშუალებით გაყიდვის დროს კი არც ბევრი დაეხარჯება და არც მოსცდება. რადგანაც შეიძლება საქონელი ბევრი მოგროვდეს, ამიტომ ამხანაგობა გამართავს მსხვილ ვაჭრებთან მოლაპარაკებას და, რომელიც უფრო მეტს მისცემს, მას მიჰყიდის. ასეთი გაყიდვა მუდამ უფრო სახეიროა წევრთათვის, რადგანაც ჯერ ერთი მსხვილი ვაჭარი უფრო პირიანად ყიდულობს, ვიდრე ჩარჩი ვაჭარი და მეორეც წევრები ასცდებიან ამ უკანასკნელების მოტყუებას.

ასეთ შუამავლობის გაწევის დროს ამხანაგობას აქვს ცოტა ხარჯი, ამიტომ აღებული ფულიდან ცოტაოდენ ნაწილს (საკომისიოს) იტოვებს ხარჯის დასაფარავად.

ამხანაგობას შეუძლიან იქონიოს სასოფლო-სამეურნეო იარაღების საწყობი, საიდანაც წევრები

იყიდიან საჭიროების დროს როგორც ნაღდზე, აგრედვე ნისიათ. ვაჭრობისათვის ამხანაგობა მხოლოდ მაშინ იხდის სავაჭრო ვადასახადს, როდესაც საწყობის თანხა იქნება ათას თუმანზე მეტი.

როგორც ზევითაცა ვსთქვი, შუამავლობა შეადგენს ერთს თვალსაჩინო ამხანაგობის საქმეთაგანს. ამიტომ როცა ამხანაგობა შუამავლობას უწევს წევრებს, იგი მალე იმსახურებს ნდობას და მალეც იზრდება, მხოლოდ ეს კია შუამავლობისათვის მომზადებაა საჭირო. ამის შესრულება ადვილი არ არის, ნამეტნავად გამოუცდელისთვის, ამიტომ საჭიროა მომზადება და მხოლოდ მაშინ დაწყება ამ საქმისა. შუამავლობა ნამეტნავად ართულებს ანგარიშის წარმოებას, ამიტომ ამხანაგობის ანგარიშის მწარმოებელი დიდის ყურადღებით უნდა მოექცეს მას და კარგად შეისწავლოს საშუამავლო ოპერაციები. თუ საჭირო ცოდნა არ ექნება და ისე მოჰკიდებს ხელს, ანგარიში აერევ-დაერევა და ეს კი მეტად ცუდია ამხანაგობისათვის რადგანაც საქმეების აწეწ-დაწეწვა აფრთხობს ხალხს და ადვილად აღარ ეწერებიან წევრებად.

ბ) ფულის უენახვა-უზარკვება

მესამე უმთავრესი მიზანი ამხანაგობისა ყაირათობის გავრცელებაა წევრთა შორის, რათა ცოტ-ცოტა შეაგროვონ ფული შავი დღისთვის. წევრს შეუძლიან ფული თითო შაურობითაც კი შეიტანოს ამხანაგობაში შესანახად. მშობლებს შეუძლიანთ ასე

წვრილ-წვრილად შეაგროვონ ფული ქალისთვის ქრთამად და მზითვების დასამზადებლად, შვილების სწავლაში მისაცემად; ხანში შესულებს შეუძლიანთ შეაგროვონ სამარხი და სხვა.

ამხანაგობაში ფულის შენახვა კიდევ იმით არის კარგი, რომ ამხანაგობა შენახულ ფულში სარგებელსაც აძლევს. სარგებლის გადაწყვეტა დამოკიდებულია ამხანაგობაზე, — შეუძლიან მას მისცეს სარგებელი თუმანში თვეში ერთი შაური ან მეტი. ფულის შეტანა ყველას შეუძლიან როგორც წევრებს, ისე გარეშე პირებს. სესხად ფულის გატანა კი შეუძლიანთ მხოლოდ წევრებს.

ფულის შენახვა ამხანაგობაში შეიძლება ვადით ან რომელიმე გარდაწყვეტილი დანიშნულებით მაგ. სრულწლოვანობამდე, გათხოვებამდე, სიკვდილამდე და სხვ. ფულის შემტანს ეძლევა პატარა წიგნაკი, რომელშიაც იწერება შეტანილი ფული და პირობა.

ფულის შეტანა შესანახად სასარგებლოა როგორც ფულის შემტანთათვის, აგრეთვე ამხანაგობისათვის. შეტანილს ფულს ამხანაგობა სხვა თანხებთან ერთად ასარგებლებს და მით მოგება რჩება. რაც ბევრი იქნება შესანახად შეტანილი ფული, იმდენი კარგია ამხანაგობისათვის. საუბედუროდ წესდებით შეტანილი ფულის და საწარმოვო საშუალებათა გასაძლიერებლად აღებული სესხის რაოდენობა განსაზღვრულია. იგი არ უნდა აღემატებოდეს ათჯერ მეტად ამხანაგობის ძირითად თანხას. თუ მაგალითად ამხანაგობას ძირითად თანხად აქვს

10,000 მანეთი, შესანახად შეტანილი ფული და ამხანაგობის მიერ აღებული სესხი უნდა უდრიდეს 1000 მანეთს. ამაზე მეტის აღება ამხანაგობას წესდებით აკრძალული აქვს.

ამხანაგობის თანხები

საკრედიტო ამხანაგობას წესდებით უნდა ჰქონდეს ძირითადი თანხა, რომელიც არ შეიძლება იყოს 100 თუმანზე ნაკლები. ძირითადი თანხა შეადგენს ამხანაგობის საწარმოვო თანხას, ამ თანხით იწყობს იგი მოქმედებას. ძირითად თანხას საკრედიტო ამხანაგობას აძლევს სახელმწიფო ბანკი სესხათ 13 წლის ვადით. ამ სესხს ჰქვიათ სახელმწიფო ბანკის გრძელ ვადიანი სესხი. ამხანაგობა ამ სესხში იხდის 6⁰/₁₀-ს, ანუ თუმანში თვეში ერთ შაურს. სარგებელს იხდის ყოველ წლის ბოლოს, თავის გადაწყვეტას კი იწყებს მეხუთე წლიდან წვრილ-წვრილად. მე-5 და 6-ე წელიწადს იხდის სესხის $\frac{1}{20}$ ნაწილს, მე-7, 8 და 9 — $\frac{1}{10}$ ნაწილს და მე-10, 11, 12 და 13 წლებში $\frac{1}{7}$ ნაწილს.

როგორც სარგებელს, აგრეთვე სახელმწიფო ბანკის სესხს ამხანაგობა იხდის თავის მოგებიდან. ამხანაგობას, როგორც ზევითაცა ვსთქვი, აქვს მოგება, რომელსაც შეადგენს ამხანაგობის მიერ გაცემულ სესხში აღებული სარგებელი. ამხანაგობა იხდის თუმანში ერთ შაურს, თვითონ კი, მაგალითად, ახდევინებს ორ შაურს. აქედან იმოდენა მოგება რჩება ამხანაგობას, რომ სახელმწიფო ბანკის სესხში სარგებელსაც იხდის და თავნაცა სწყვეტავს.

როდესაც ამხანაგობას შეაქვს სახელმწიფო ბანკში თავნის გადასაწყვეტი ხვედრი ფული, მას უნდა ჰქონდეს იმდენივე ან ნაღდი ფული, ან სესხად გაცემული, რომ შეავსოს ძირითადი თანხა, რომელიც არ შეიძლება შემცირდეს. თუ ამხანაგობას სახელმწიფო ბანკიდან ნასესხები ძირითადი თანხათ ექნება 100 თუმანი, მეხუთე წელს შეიტანს $\frac{1}{20}$ ნაწილს, ანუ ხუთ თუმანს. იმავე დროს ამხანაგობამ უნდა გადასდოს 5 თუმანი ძირითადი თანხის შესავსებლად. ეს ნაწილი ძირითადი თანხისა იქნება ამხანაგობის საკუთარი თანხა. შემდეგ წლებშიაც ასევე იქცევა ამხანაგობა, ე. ი. რამდენიც სახელმწიფო ბანკში შეაქვს სესხის გადასაწყვეტად, იმდენსავე სდებს საკუთარ ძირითად თანხად, ასე რომ 13 წლის შემდეგ, როცა ამხანაგობა გაისტუმრებს სახელმწიფო ბანკის გრძელ ვადიან სესხს, მას უკვე ექნება საკუთარი თანხა.

გრძელ ვადიან სესხის გარდა ამხანაგობას შეუძლიან ვექსილებით გამოიტანოს სახელმწიფო ბანკიდან სესხად ფული 300 თუმნამდე ამ ფულს სახელმწიფო ბანკი აძლევს მხოლოდ 9 თვით და ამიტომ ამ სესხს ჰქვიან მოკლე ვადიანი სესხი. ამ სესხით ამხანაგობას შეუძლიან ისარგებლოს მაშინ, როცა კი დასჭირდება. საჭიროების დროს რამდენიც უნდა, იმდენს გამოიტანს, 9 თვით ან ნაკლები ვადით. ვადაზე ამხანაგობა უბრუნებს სახელმწიფო ბანკს ფულს სრულად. თუ ვინიცობაა შემდეგ კიდევ დასჭირდა ამხანაგობას ფული, შეუძ

ლიან ხელმეორედ გამოიტანოს. ეს სესხი ანუ უკედ რომ ვსთქვათ კრედიტი შეიძლება 300 თუმანზე მეტიც იყოს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიდის ამხანაგობის საქმეები; თუ ამხანაგობას კარგად მიჰყავს საქმეები, სახელომწიფო ბანკი უფრო მეტ კრედიტს მისცემს მოკლე ვადიანს. მოკლე ვადიან სესხში ამხანაგობა იხდის 6⁰/0 ანუ თუმანში თვეში 5 კპ.

გრძელ და მოკლე ვადიან სესხის გარდა ამხანაგობას შეუძლიან ისესხოს ფული აგრედვე გარეშე პირებისაგან და დაწესებულებებისაგან. ამხანაგობას შეუძლიან ასეთი სესხი აიღოს განსაკუთრებულ მიზნისათვის: სასოფლო-სამეურნეო იარაღების საწყობის და წვრილმით სავაჭროს გასახსნელად, საშუაშავლო თანხის დაასარსებლად და სხვ. ამ სესხის პირობები უნდა შეიმუშავოს ამხანაგობამ და დასამტკიცებლად წარუდგინოს წვრილი კრედიტის საგუბერნიო კომიტეტს.

ამხანაგობა თავის საწარმოვო საშუალებათა გასათართობლად წევრებისა და გარეშეებისგან იბარებს შესანახად ფულს. ამ ფულსაც ამხანაგობა სხვა თანხებთან ერთად ასარგებლებს...

საკრედიტო ამხანაგობის შედგენილობა

ამხანაგობაში 20-ზე ნაკლები წევრი არ უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაიხურება. წევრთა რიცხვი რაც ბევრი იქნება, იმდენი კარგია, რადგანაც მაშინ ფულის მსესხებელი ბევრი იქნება

და მაშასადამე შემოსავალიც მეტი ექნება. ამხანაგობაში წესდებით მიიღებიან ორივე სქესის სრულწლოვანნი, რომლებსაც რაიმე ქონება აქვთ, საკუთრივ აწარმოებენ მეურნეობას ან რაიმე ხელობას მისდევენ და სცხოვრობენ ამხანაგობის მოქმედების რაიონში. საკრედიტო ამხანაგობაში წევრებად მიიღებიან როგორც მდიდრები, ისე ღარიბები; უპირატესობა იმას ეძლევა, რომელიც უფრო სვინდისიერი, ფხიზელი და შრომის მოყვარეა.

წევრი ამხანაგობაში შესვლისთანავე სდებს ხელწერილს მასზე, რომ ჰკისრულობს პასუხის მგებლობას ამხანაგობის საქმეებზე. ეს პასუხის მგებლობა ორ გვირია: განსაზღვრული და განუსაზღვრელი, პირველი მდგომარეობს იმაში, რომ წევრი ამხანაგობისა ზარალის დროს პასუხს აგებს თავისი კრედიტის ორკეც ან სამკეც ზომას. მაგალითად, თუ წევრს ამხანაგობამ კრედიტი გაუხსნა 40 მანეთისა, იგი პასუხს აგებს 80 ან 120 მანეთით. მეორე გვარი პასუხის მგებლობით კი წევრი მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს. ამხანაგობის გახსნის დროს მომეტებულ ნაწილად პასუხისმგებლობას განუსაზღვრელს აწესებენ, რადგანაც მაშინ გარეშე პირებში და ფულის შემტანებში ამხანაგობა მეტს ნდობას პოულობს. ასეთი პასუხისმგებლობა თვით წევრებისთვისაც კარგია, რადგანაც ისინი უფრო ფხიზელად ექცევიან ამხანაგობას და ერთგულად აწარმოებენ ამხანაგობის საქმეებს.

ოჯახის უფროს შეუძლიან მიანდოს ამხანაგობაში შესვლა რომელიმე თავისი ოჯახის წევრს, მაგრამ ხელწერილი კი პირველმა უნდა დასდოს პასუხისმგებლობაზე.

ამხანაგობაში არ მიიღებიან წევრად უზნეო, ლოთობის მოყვარულნი და ზარმაცები, ამათ გარდა წესდებით არ შეუძლიანთ ამხანაგობაში შესვლა იმათ, ვინც უკვე ითვლებიან წევრად სხვა წვრილი კრედიტის ამხანაგობაში ან საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში და აგრედვე ისინი, ვინც ერთხელ იყვნენ ამხანაგობიდან გამორიცხულნი. წევრობიდან გამორიცხულის უკან მიღება ახლად მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეიძლება.

ვინ აწარმოებს საკრედიტო

ამხანაგობის საქმეებს.

ამხანაგობის ბატონ-პატრონი არის წევრთა საერთო კრება. ამხანაგობის საქმეების საწარმოებლად საერთო კრება ირჩევს 3—4 წევრს. ესენი შეადგენენ ამხანაგობის **გამგეობას**. გამგეობაში უეჭველად უნდა იყვნენ ამორჩეულნი პატიოსანი პირნი, რადგანაც ხშირად გამგეობაზე არის დამოკიდებული ამხანაგობის სვე-ბედი. კარგი იქნება თუ გამგეობაში მოჰყვებიან ნდობა დამსახურებულნი ინტელიგენტნიც.

გამგეობა აწარმოებს ამხანაგობის ყოველსავე საქმეს: აძლევს და იღებს უკან სესხს, იღებს შესანახად ფულს, საჭიროების დროს ბანკიდან გა-

მოაქვს ფული, ასრულებს ამხანაგობის მიერ დავალებულს საშუაშავლო საქმეს და სხ. ყველა ამის შესასრულებლად სვინიდისის გარდა საჭიროა ცოდნაც, ამიტომ გამგეობამ უნდა თვალ-ყური ადევნოს ჟურნალ-გაზეთობას, სადაც ხშირად იბეჭდება სხვა სოფლების საკრედიტო ამხანაგობების მოქმედება და იმათ კვალობაზე მოაწყოს ამხანაგობის საქმეები. ამას გარდა უნდა შეიძინოს და იკითხოს წვრილი კრედიტის ამხანაგობების შესახებ დაწერილი წიგნები, რომლების კითხვა მეტად გაუადვილებს საქმეების წარმოებას. ერთ-ერთი გამგეობის წევრი უნდა იყოს ანგარიშის მცოდნე, რომელმაც უნდა აწარმოვოს ამხანაგობის საანგარიშო წიგნები.

ეს ანგარიში დიდს ცოდნას არ მოითხოვს, მხოლოდ საჭიროა დაკვირვება და გულით მოკიდება. თუ ვინიცობაა ამხანაგობაში არ მოიპოვება ისეთი წევრი, რომელსაც შეეძლოს ანგარიშის წარმოება, ამხანაგობამ უნდა დაიჭიროს გარეშე ვინმე.

რომ გამგეობამ სვინიდისიერად აწარმოვოს ამხანაგობის საქმეები, მიუდგომლად გასცეს სესხი, უსაბუთოდ არ უთხრას უარი წევრს სესხის მიცემაში და სხ., ამხანაგობა ირჩევს კიდევ 4—5 კაცს მონაგარიშეებად. ესენი შეადგენენ ამხანაგობის **მეთვალყურე საბჭოს**. როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, მეთვალყურე საბჭო ადევნებს გამგეობის მოქმედებას თვალყურს, მალ-მალე უწევს ანგარიშს და, თუ რაიმე სიბრუნდე შეატყო გამგეობას, მაშინათვე იწვევს საერთო კრებას, რომელსაც უდგენს თავის მოხსენებას.

გამგეობა ყოველ თვის ბოლოს ადგენს ანგარიშს, რომელსაც მეთვალყურე საბჭო ამოწმებს და უგზავნის სახელმწიფო ბანკს. ეს უკანასკნელი თხიზლად ადევნებს თვალყურს წვრილი კრედიტის ამხანაგობებს საგანგებოდ დანიშნული წვრილი კრედიტის ინსპექტორის საშუალებით. ინსპექტორი მოვალეა თვალყურის დევნის გარდა ასწავლოს გამგეობას ამხანაგობის საქმეების უკეთ წაყვანა, ანგარიშის წარმოება და სხვა.

მეთვალყურე საბჭოს, თუ რასაკვირველია საჭირო იქნება, შეაქვს ამხანაგობაში წინადადება წესდების შესწორება-დამატების შესახებ, აღძრავს შუამდგომლობას ამხანაგობის მოქმედების გასათართოებლად, შუამავლობის შემოღების შესახებ, ამხანაგობასთან სასოფლო-სამეურნეო იარაღების საწყობის გახსნის შესახებ და სხვა.

ამას გარდა მეთვალყურე საბჭო არჩევს წევრების საჩივარს გამგეობის მოქმედებაზე; როდესაც უკანასკნელი დაარღვევს წესდებას, იგი აძლევს დარიგებას და შენიშვნას, რომ შემდეგში აღარ გაიმეოროს შეცდომა. ცხადია, ყველა ამის შესასრულებლად საჭიროა მეთვალყურე საბჭოს წევრნი იყვნენ წერა-კითხვაში დახელოვნებულნი, მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მათ ზნეობასაც და რადგანაც ჩვენდა საბედნიეროთ ქართველ გლეხებში ბლომად მოიპოვებიან კეთილ ზნეობიანი პირნი, ამიტომ გამგეობისთვის და საბჭოსთვის წევრნი ძნელი საშოვარნი არ არიან. საჭიროა მხოლოდ

ერთი ორი თავ-დადებული ინტელიგენტი ერიოს მათში. ამ უკანასკნელების მეცადინეობით პირველნი მალე დახელოვნდებიან წერა-კითხვასა და ანგარიშში და მალეც გამოიცილებიან ამხანაგობის საქმეების წარმოებაში. თუ ჩვენ ხელს ავიღებთ სოფლად საკრედიტო ამხანაგობების გახსნაზე იმ მოსაზრებით, რომ სოფლად არ მოიპოვებიან გლეხებში საკმარისად ნასწავლნი, ჩვენ თავის დღეში არ გვეღიროსება სოფლად არავითარი კულტურული დაწესებულება, რადგანაც ხალხი მუდამ მოუმზადებელი იქნება. საჭიროა დავაასოთ სოფლად წვრილი კრედიტის ამხანაგობები და სხვა გვარი კოოპერატივები, რომლებიც გლეხების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობასთან ერთად ხალხში სწავლავანათლებასაც შეიტანენ.

როგორ უნდა გაიხსნას საკრედიტო ამხანაგობა

როდესაც რომელიმე სოფლის მცხოვრებნი განიზრახვენ საკრედიტო ამხანაგობის დაარსებას, მათ უპირველეს ყოვლისა უნდა გამოიწერონ მახლობელ სახელმწიფო ბანკის განყოფილებიდან სამაგალითო წესდება, რომელიც უნდა გულდასმით გადიკითხონ და აუხსნან იგი სხვებსაც. განსაკუთრებით საჭიროა განმარტება შემდეგი კითხვებისა: ა) წევრთა პასუხისმგებლობა და ბ) ამხანაგობის სიმკვიდრე. როგორც ზევით-ცა გვქონდა საუბარი, პასუხისმგებლობა არის ორგვარი — განსაზღვრული და

განუსაზღვრელი. განსაზღვრული პასუხის მგებლობა გამოიხატება იმაში, რომ წევრნი ამხანაგობის ზარალის დროს პასუხს აგებენ თავიანთ კრედიტის ორკეც ან სამკეც ზომას; განუსაზღვრული კინიშნავს ისეთ პასუხისმგებლობას, როდესაც, წევრნი მთელი თავიანთი ქონებით აგებენ პასუხს. ხშირად ეს მუხლი წესდებისა აფრთხობს გლეხებს და უარს იძახიან ამხანაგობაში ჩაწერაზე. ნამეტნავად ამას ხელზე იხვევენ მოვახშეები და ურჩევენ გლეხებს არ მოტყუდნენ და არ ჩაეწერნენ ამხანაგობაში. რასაკვირველია მოვახშეებს ხალხის დარდი კი არა, თავიანთი დარდი აქვთ. მათ კარგად იციან, რომ ამხანაგობის გახსნით მოესპობათ მუშტარი და ვეღარ ისარგებლებენ ხალხის ნაოფლარით. საქმის მოთავეებმა უნდა აუხსნან ხალხს, რომ პასუხისმგებლობა მაგრე რიგად საშიში არ არის; პირიქით პასუხის მგებლობა იმიტომ არის მოგონილი, რომ უფრო მკვიდრი იყოს ამხანაგობა და უფრო ერთგულად მოექცნენ მის საქმეებს წევრები. არც თუ მეორე კითხვაა საშიში: საკრედიტო ამხანაგობა მოქმედობს დაწვრილებით შემუშავებულ წესდებით, რომელიც შედგენილია საზღვარგარეთის სასოფლო ბანკების მიხედვით. ამხანაგობის ფული უნდა ინახებოდეს რკინის სკივრში, რომელიც იწონის 25 ფუტს და რომელიც იკეტება ორის გასაღებით, ერთი გასაღები აქვს ხაზინადარს, მეორე—გამგეობის მეორე წევრს. გამგეობის წევრნი ამის გამო ვერავითარს ბოროტებას ვერ ჩაიდენენ, გინდაც მოისურ-

ვონ ბოროტების ჩადენა, ვერ გაბედავენ, რადგანაც მეთვალყურე საბჭო გამუდმებით ადევნებს თვალყურს და ფულის გაფლანგვაზე გამგეობის წევრი პასუხს აგებენ ამხანაგობის წინაშე მთელი თავიანთი ქონებით. ყველაზე უფრო სარწმუნო თავდები ამხანაგობის სიმკვიდრისა არის ის, რომ ამხანაგობაში და განსაკუთრებით გამგეობაში წევრებად ირჩევენ სვინდისიერ, ნდობა დამსახურებულ პირებს, რომლებიც არამც თუ რაიმე ბოროტებას არ ჩაიდენენ, არამედ მუდამ, თავგანწირულად იმუშავებენ ამხანაგობის საკეთილდღეოდ.

როდესაც დამაარსებლები შეიგნებენ ამას, მათ უნდა გადასწყვიტონ რამდენიმე კითხვა. უპირველესად მათ უნდა განსაზღვრონ ამხანაგობის მოქმედების რაიონი; ე. ი. რომელ სოფლებზე უნდა გავრცელდეს ამხანაგობის მოქმედება. ამხანაგობა, რაც უფრო დიდი იქნება, იმდენი კარგია, ამიტომ კარგი იქნება, თუ ამხანაგობის მოქმედება გავრცელდება რამდენიმე ახლომახლო სოფლებზე ასე, რომ მოგროვდეს 300—400 კომლი. არც თუ ძალიან დიდი რაიონი ვარგა, რადგანაც მაშინ შეიძლება ისეთები ჩაეწერნენ წევრებად, რომლებიც ერთი-ერთმანეთს არ იცნობენ, არ იციან ერთმანეთის ზნე-ხასიათი და ქონებრივი მდგომარეობა. შემდეგ უნდა გადასწყვიტონ, თუ სად უნდა იყვეს გამგეობა, რამდენი ითხოვონ სახელმწიფო ბანკიდან ძირითად თანხად და რამდენი მოკლე ვადით (გრძელ ვადიანი სესხი შეიძლება 100 თუმნამდე, მოკლე

ვადიანი 300 თუმნამდე) და რამდენზე მეტი არ ექნება თითოეულ წევრს კრედიტი.

ამ კითხვების გადაწყვეტის შემდეგ უნდა დაიწეროს თხოვნა, რომლის ფორმაც აქვე მოგვყავს. ამ თხოვნის გამოწერა შეიძლება უფასოდ (მარტო ფოსტის ხარჯი უნდა გადაიხადოთ) სახელმწიფო ბანკის განყოფილებიდან.

ვსთქვად, თხოვნას აძლევენ შემდეგი სოფლების მცხოვრებნი: დიდ ლილოსი, პატარა ლილოსი და ნორიისა, თხოვნა დაიწერება ასე:

Въ Тифлисскій Губернскій Комитетъ по дѣламъ мелкаго кредита.

Мы, нижеподписавшіеся жители селеній Диди-Лило, Патара-Лило и Норіо, Тифлисскаго уѣзда и губерніи, просимъ разрѣшить намъ открыть кредитное т-во по образцовому уставу, утвержденному Министромъ Финансовъ 14 сентября и измѣненному 24 ноября 1905 г.

Т-во будетъ именоваться Норіо-Лилойскимъ.

Участниками т-ва могутъ быть лица, проживающія въ селеніяхъ Диди-Лило, Норіо и Патара-Лило и занимающіяся сельскимъ хозяйствомъ.

Правленіе т-ва будетъ находиться въ сел. Диди Лило.

Основной капиталъ т-ва въ 1000 руб просимъ выдать намъ въ ссуду изъ Государственнаго Банка. Условія этихъ послѣднихъ ссудъ намъ извѣстны и мы на нихъ согласны.

Сумма, до котораго можетъ быть допущена задолженность одного товарища, опредѣляется въ 100 р., а вмѣстѣ съ ссудою подъ залогъ хлѣба или издѣлій ремесла и промысла (какихъ именно издѣлій: хлѣба и т. п.) въ 200 руб.

Каждый товарищ отвѣчаетъ по обязательствамъ т-ва всѣмъ своимъ имуществомъ.

Вмѣстѣ съ тѣмъ мы просимъ допустить для нашего т-ва слѣдующія отступленія отъ образцоваго устава (აქ უნდა აღინიშნოს, თუ რა ცვლილება ან ჩამატება ჰსურთ დამაარსებელთ).

Просимъ объ открытіи т-ву въ Государственномъ Банкѣ краткосрочнаго кредита въ три тысячи рублей.

Уполномочиваемъ по этому дѣлу входить въ сношеніе съ правительственными учрежденіями и должностными лицами Александра Теимуразовича Цховребашивили, проживающаго въ сел. Диди-Лило.

Почтовый адресъ уполномоченнаго: сел. Диди-Лило, Тифлискаго уѣзда.

ამის შემდეგ უნდა ხელი მოაწერონ დამაარსებლები რიცხვით 20-ზე არა ნაკლებმა.

თხოვნასთან უნდა წარდგენილ იქმნეს ცნობები იმ სოფლების შესახებ, რომლებზედაც უნდა გავრცელდეს ამხანაგობის მოქმედება და ცნობები ამხანაგობის დამაარსებლებით შესახებ.

1. С в ѣ д ѣ н і я :

о селахъ, деревняхъ и др. населенныхъ мѣстахъ, на которыя предполагается распространить дѣйствія Норіо-Лилойскаго кредитнаго т-ва въ Тифлисской губ. и уѣзда.

Наименованіе города, или сель, деревень, станицъ, хуторовъ и т. д., какой волости и уѣзда.	Сколько вер. отъ мѣстонахожденія правленія т-ва.	Сколько дворовъ въ селеніяхъ, или число жителей въ гор. и мѣстечкахъ.
1. Диди-Лило, Тифл. уѣз.	—	170 дв.
2. Патара-Лило	2 ¹ / ₂	60 —
3. Норіо	4	700 —

33

3 375

ფანსი მუნი შაჰანი